



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს წევრის - ცოტნე ანანიძის
01.09.2021 – 31.12.2022 წწ.

საქმიანობის
ანგარიში

ანგარიშში ასახულია 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრის - ცოტნე ანანიძის საქმიანობის, უფლება-მოვალეობებით გათვალისწინებული აქტივობების ინფორმაციული ნუსხა და განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩამონათვალი.

არჩევის ფორმა: მაჟორიტარული წესით, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

საქმიანობა უმაღლეს საბჭოში:

- ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ამოცანები და ფუნქციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - ცოტნე ანანიძე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის რანგში, ხელმძღვანელობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომებს და კოორდინაციას უწევდა კომიტეტის აპარატის საქმიანობას. საანგარიშო პერიოდში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, თანამშრომლობდა უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებთან მოქალაქეთა მომართვიანობის შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოკრატიული და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას და ადამიანის უფლებების დაცვას, როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ისე ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის გზით. დასახული მიზნების განსახორციელებლად კომიტეტი მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტების და სხვა აქტების პროექტების განხილვასა და გადაამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო

აქტების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის დებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულების შესაბამისად.

კომიტეტის საზედამხედველო და საკანონმდებლო საქმიანობა

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლეს საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს. თუმცა, კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა დამატებით გაძლიერებას საჭიროებს. შესაბამისად, კომიტეტი ხშირად აწყობს შეხვედრებს საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, ხელს უწყობს დისკუსიას სხვადასხვა პრობლემურ თემაზე და ძალისხმევას მიმართავს პრობლემური საკითხების საკანონმდებლო გზით გადაწყვეტისაკენ.

ამასთანავე კომიტეტის ხედვა და პრიორიტეტები კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის - 5 გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განხილული იქნა - 11 საკითხი. მომზადდა შესაბამისი დასკვნები:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;

3. თემატური მოკვლევა შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლის შესახებ;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში;

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში;

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023-2026 წლების პრიორიტეტები;

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია უკრაინის მხარდაჭერის შესახებ;

11. პეტიცია - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ“.

კომიტეტი უმაღლესი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად უზრუნველყოფს ზედამხედველობის ეფექტიან სისტემას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ინსტრუმენტებს. მთავრობის საქმიანობაზე კომიტეტის სხვა მაკონტროლებელ ბერკეტებთან ერთად, კომიტეტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად მოისმენს მთავრობის წევრებისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშებს. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობენ კანონით მინიჭებული ადამიანის უფლებების დაცვასა და რეალიზაციას. კომიტეტი ასევე უზრუნველყოფს კანონის აღსულებაზე მონიტორინგის განხორციელებას ამ სფეროში.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავდა კომიტეტის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შემუშავებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია სულ 5 გაერთიანებული სხდომა.

კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 11 საკითხი, აქედან: საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე მომზადებულია 9 დასკვნა.

ცოტნე ანანიძის სახელზე შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპონდენციების და მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

შემოსული

მოქალაქეები	
საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა	4
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	3
სოციალური პირობები	11
კანონიერი უფლებების დაცვა	22
შუამდგომლობა შეწყალებაზე / პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე	10
სხვა	6
<i>სულ -</i>	56
უწყებები და ორგანიზაციები	
სპეციალური პენიტენციური სამსახური	5
პროკურატურა	2
პენიტენციური დაწესებულება	6
საქართველოს პარლამენტი	10
აჭარის ა.რ. მთავრობა	6
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	14
შიდა შემოსული კორესპონდენცია	66
სხვა	41
<i>სულ -</i>	150
შემოსული კორესპონდენციის ჯამი	206

გასული

პასუხი მოქალაქეებს	53
პროკურატურას	4
პენიტენციურ დაწესებულებას	11
საქართველოს პრეზიდენტს	1
ქ. ბათუმის მუნიციპ. მერიას	3
აჭარის ა.რ. მთავრობას	21
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	16
შიდა გასული კორესპონდენცია	30
სხვა	27
გასული კორესპონდენციის ჯამი -	166

სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობა

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია, რითაც კომიტეტი ეცნობა მათ პრობლემებს, საჭიროებებს და ახდენს მათზე შესაბამის რეაგირებას. შეხვედრები იმართება უმაღლეს საბჭოში, მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ბიუროში, ასევე საჭიროების შემთხვევაში ვითარების სრულყოფილად შესასწავლად მოქალაქესთან ადგილზე გასვლითაც. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და აპარატის თანამშრომლები უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში შეხვედრენ **107** მოქალაქეს. მოქალაქეებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს კომიტეტის თავმჯდომარე აწარმოებდა ადმინისტრაციული შენობის გარეთაც, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ბიუროში, ასევე ჰქონდა სატელეფონო კონსულტაციები.

მოქალაქეთა მიღების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრები უკავშირდებოდა სხვადასხვა თემატიკას და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა წინაშე არსებული საკითხების გაცნობა/გადაწყვეტას, კონსულტაციის გაწევას, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წინაშე შუამდგომლობის აღძვრას, სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შეგროვებაში მოქალაქისათვის დახმარების გაწევას.

გარდა ამისა, კომიტეტში რეგულარულად შემოდიოდა მოქალაქეთა განცხადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას, სოციალურ საკითხებს და სხვა. წერილების თემატიკიდან უნდა გამოიყოს მომართვიანობა მსჯავრდებულთა შეწყალებაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს წინაშე შუამდგომლობის გაწევის შესახებ, საკუთრების (მიწის ნაკვეთის) რეგისტრაციასთან დაკავშირებით, კანონიერი უფლებების დაცვა/აღდგენის თაობაზე და ა.შ. კომიტეტი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო კომუნიკაციით ახდენს შემოსულ განცხადებებზე დროულ რეაგირებას. განცხადებათა ნაწილი შეეხება სოციალურ საკითხებს: დასაქმება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მკურნალობის მიზნით დაფინანსების თაობაზე შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, ასევე აღსანიშნავია მოქალაქეთა მომართვები მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ინფრასტრუქტურული საკითხების (გზის, სასმელის წყლის, საკანალიზაციო ქსელის და სხვ.) მოწესრიგებაზე შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით.

კომიტეტში შემოსული ყველა განცხადება შესწავლილი და რეაგირებული იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც უმეტესწილად მიღებულია პასუხები უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე, რაც დროულად ეცნობათ მოქალაქეებს.

ყველა მოქალაქეს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გაეწია შესაბამისი დახმარება.

ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან შეხვედრის მიზნით

უმაღლესი საბჭოს წინა მოწვევის განმავლობაში კომიტეტის თავმჯდომარემ განახორციელა მრავალჯერადი ვიზიტი № 3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის საფუძველზე. 2021-2022 წლებში კომიტეტის თავმჯდომარემ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების მომართვების საფუძველზე განახორციელა 8 (რვა) ვიზიტი სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ინდივიდუალური ნებართვების საფუძველზე.

ცოტნე ანანიძე მონაწილეობდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, კერძოდ:

24.03.2022 - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვიძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს - მიხეილ სარჯველაძეს შეხვდნენ. შეხვედრის ძირითადი თემა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სახელმწიფოს მხრიდან გატარებული პრევენციული ღონისძიებები იყო. გამოიკვეთა გარკვეული მიმართულებები და დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობის

გზები. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შედგა ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის თანამშრომლებთან.

24.03.2022 - ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და აჭარაში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ესწრებოდა. შეხვედრაზე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის წარდგენის შემდეგ, დისკუსიები გაიმართა გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით მიღწეული შედეგების, გამოცდილების გაზიარების, ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების საკითხებზე. აჭარის მუნიციპალიტეტებში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებმა ინფორმაცია წარმოადგინეს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ მიმართულებებსა და პრიორიტეტებზე.

28.04.2022 - კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და აპარატის უფროსი ბაკურ ბოლქვაძე მონაწილეობდნენ საირმეში გამართულ სწავლებაში, რომელიც გენდერულ ბიუჯეტირებას ეხებოდა. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ორგანიზებული სწავლება, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ მუნიციპალური თანამშრომლობის ფარგლებში აჭარის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებისთვის გამართა.

11.05.2022 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ილია ვერძაძე, ცოტნე ანანიძე, ამავე კომიტეტების წევრები და აპარატების თანამშრომლები, საქართველოს პარლამენტში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს - დიმიტრი ხუნდაძეს, კომიტეტის წევრებსა და აპარატის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე, რომელიც გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გაიმართა, საუბარი შეეხო დარგობრივი კომიტეტების საქმიანობას, სამუშაო სპეციფიკას, აქტივობებსა და საკანონმდებლო ორგანოების მაკონტროლებელი ფუნქციების აღსრულების საკითხებს;

26.05.2022 - ცოტნე ანანიძე დაესწრო ღონისძიებას - A-Spire “Women Sacrificing Life to Values” - შთააგონე „ქალები და ღირებულება სიცოცხლის ფასად“. მეორე მსოფლიო და აფხაზეთის ომების, დედაენისა და 9 აპრილის მოვლენების მონაწილე ქალებმა გაგვიზიარეს თავიანთი ისტორიები, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ისაუბრეს მათ მიერ დანახულ ქალების როლზე ქვეყნის დამოუკიდებლობის პროცესში. ღონისძიება ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებით, USAID-ის მხარდაჭერით, სასტუმრო „რედისონში“;

31.05.2022 - აჭარის უმაღლესი საბჭოს სკოლა „ევრო 2000-ის“ სამოქალაქო განათლების კლუბის წევრები სტუმრობდნენ. მოსწავლეებმა საკანონმდებლო ორგანოში ექსკურსია ახალი ვებპლატფორმის - chaerte.sca.ge-ის საშუალებით ჩანიშნეს. მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ, მოსწავლეებმა დაათვალიერეს უმაღლესი საბჭოს შენობა, სხდომათა დარბაზი, შეხვდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებს - ცოტნე ანანიძესა და ილია ვერძაძეს. უმაღლესი საბჭოს წევრებმა

საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ახალგაზრდების და ზოგადად, მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობასა და სიახლეებზე მიაწოდეს ინფორმაცია;

23.06.2022 - ცოტნე ანანიძე გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას დაესწრო. სხდომაზე ამავე საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში განიხილეს. შესაბამისი მოხსენება გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა წარმოადგინა. მომხსენებელმა საბჭოს მიზნებისა და ამოცანების პარალელურად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებსა და აქტივობებზე ინფორმაცია წარმოადგინა, ისაუბრა მუნიციპალიტეტებში გენდერის საკითხებზე მომუშავე წარმომადგენლობებთან, საბჭოებთან თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით გატარებულ პოლიტიკაზე, უმაღლეს საბჭოში სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით შემოსულ პეტიციასა და სხვა საკითხებზე;

23.06.2022 - ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეიქმნას ჯგუფი თემატური მოკვლევითვის „შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლა“. ორი კომიტეტის წევრებისგან შემდგარმა ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი და ვადებში გაწერილი გეგმა. თემატური მოკვლევითვის მიზანია შშმ პირთათვის გარემოს ადაპტაციის დონის შესწავლა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი აღმასრულებელი უწყებებისთვის;

24.06.2022 - აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს - ნინო ვალიკოვს, ნათია ბერაძესა და სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს წარმომადგენელს - გიორგი ჩარკვიანს შეხვდნენ. უმაღლეს საბჭოში გამართული შეხვედრა შშმ პირთა უფლებების დაცვის, მათ წინაშე არსებული გამოწვევების, პრევენციული ღონისძიებების, მუნიციპალური პროგრამების, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს დაეთმო. საუბარი შეეხო აჭარის მუნიციპალიტეტებსა და მთლიანად რეგიონში შშმ პირთა საჭიროებების უზრუნველყოფისთვის განხორციელებულ პოლიტიკას, სახელმწიფო პროგრამებთან წვდომისა და თანაბარი გარემოს შექმნისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს;

13.08.2022 - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ონლაინ ფორმატში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელიც აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს აკაკი ჩხენკელის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა და ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს რეგიონში - აფხაზეთში, სამი ათეული წლის წინ განვითარებულ მოვლენებს, დღეს არსებულ ვითარებასა და სამომავლო ურთიერთობების განვითარების საკითხებს მიეძღვნა. "ომი აფხაზეთში ჩვენი სახელმწიფოს უახლესი ისტორიის უმძიმესი ფურცელია, თქვენ ხართ მონაწილეები ურთულესი დღეებისა, თქვენი ისტორია და გამოცდილება არის ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის", - აღნიშნა ცოტნე ანანიძემ;

16.09.2022 - ბათუმში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამის თემაზე კონფერენცია გაიმართა.

ლონისძიება პროექტის - „მე მაქვს უფლება... დამხმარე ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობების სამსახურში, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების, უკეთესი განათლების, შრომისა და დასაქმების ხელშესაწყობად“ ფარგლებში, აიპ „ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა. პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა, რომელიც შშმ პირთათვის ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის რეკომენდაციებს, ასევე აჭარის მუნიციპალიტეტებში გამართულ სამუშაო შეხვედრებს, ფოკუს ჯგუფებს, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ჩატარებული ტრენინგების შედეგებსა და რეკომენდაციებს აერთიანებს. კონფერენციას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ფატი ხალვაში, ილია ვერძაძე, ცოტნე ანანიძე, საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტების აპარატების თანამშრომლები დაესწრნენ;

13.10.2022 - უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, ქობულეთში, სატელევიზიო სკოლა-სტუდია „Number One“-ს სტუმრობდა. უმაღლესი საბჭოს წევრმა, სტუდიის აღსაზრდელებს, საკანონმდებლო ორგანოს სპეციფიკა, უფლებამოსილებები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები გააცნო, ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებსა და ამ მიმართებით არსებულ შესაძლებლობებზე. შეხვედრის დასასრულს, ცოტნე ანანიძემ, სკოლა-სტუდია „Number One“-ის მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხა;

24.10.2022 - კომიტეტის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და დელეგაციის წევრებთან ერთად ევროპის მე-18 სამიტის ფარგლებში, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის თავმჯდომარეს - ფრანც შაუსბერგერს და ზალცბურგის პარლამენტის (ლანდტაგის) ვიცე-პრეზიდენტს სებასტიან ჰუბერს შეხვდნენ. შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ევროპის რეგიონთა ურთიერთობების გაღრმავება-განვითარების საკითხებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამიტს, რომელიც ყოველწლიურად იმართება, ევროკავშირის და ევროპარლამენტის მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსები ესწრებიან. ღონისძიება ავსტრიის კანცლერის პატრონაჟით გაიმართა;

29.10.2022 - აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, ქობულეთში, სატელევიზიო სკოლა-სტუდია „Number One“-ს სტუმრობდა. უმაღლესი საბჭოს წევრმა, სტუდიის აღსაზრდელებს, საკანონმდებლო ორგანოს სპეციფიკა, უფლებამოსილებები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები გააცნო, ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებსა და ამ მიმართებით არსებულ შესაძლებლობებზე. შეხვედრის დასასრულს, ცოტნე ანანიძემ, სკოლა-სტუდია „Number One“-ის მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხა.

10.12.2022 - „შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში“ – კონფერენცია, რომელიც ბათუმში გაიმართა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, IFES -ის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა - რენატა ლევოვსკიმ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა - ლევან იოსელიანმა, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი შარაბიძემ და მხარდამჭერი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გახსნეს. კონფერენციის პირველი პანელი „პოლიტიკას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს“, ხოლო მეორე და მესამე „უფლებრივ მდგომარეობას და თანასწორობას (ძალადობა, გენდერული ნიშნით

ძალადობა და დისკრიმინაცია)“ დაეთმო. მეორე პანელში აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ცოტნე ანანიძემ შშმ ქალთა უფლებების რეალიზებისთვის თანასწორი პირობების, თანასწორი გარემოს საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. სამივე პანელი კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა და შემაჯამებელი რეკომენდაციების მიღებით დასრულდა. კონფერენცია, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ღია სივრცე კავკასიას (COS) და ევროკავშირი საქართველოსთვის მხარდაჭერით, სიმბოლურად უფლებადამცველთა საერთაშორისო დღეს გაიმართა.

20.11.2022 - „ადამიანის უფლებათა დაცვა არის დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ღირებულება“ - განაცხადა უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, თხილნარის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრაზე, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს ექსკურსიით სტუმრობდნენ. ცოტნე ანანიძემ, მოსწავლეებს გააცნო საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას, თანასწორობას, ყველასათვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას, აზრის თავისუფლად გამოხატვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს უზრუნველყოფს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მოსწვალები გაეცნენ უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის ისტორიას, საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის პრინციპებს, უფლებამოსილებებს, ჩართულობის ცენტრისა და ონლაინპლატფორმა - chaerte.sca.ge-ის სერვისებს.